შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბუნებრივი აირის“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2018 წელი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა..... ii-v

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....6
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....8
კონსოლიდირებულიფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....10-42

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბუნებრივი აირის" და მისი შვილობილი კომპანიის ვილა ზუზუმბოს შემდგომში (ჯგუფის) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუდის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,ფასს") შესაბამისად.

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი	გიორგი ქართლელიშვილი	_____
მთავარი ბუღალტერი	კახაბერ ხუცურაული	_____

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბუნებრივი აირის" და მისი შვილობილი კომპანიის ვილა ზუზუმბოს შემდგომში (ჯგუფის) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუდის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი	გიორგი ქართლელიშვილი	
მთავარი ბუღალტერი	კახაბერ ხუცურაული	

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს „ბუნებრივი აირი“-ს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბუნებრივი აირი“-ს (შემდგომში- „კომპანია“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) და მისი მისი შვილობილი კომპანიის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით წლის ბოლოს ჩატარებულ ფულადი სახსრების ინვენტარიზაციას სალაროში, რომლის საბალანსო ღირებულებამაც შეადგინა 397,819 ლარი,ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2018 წლის ბოლოს და 2018 წლის დასაწყისში არსებული ფულადი სახსრებისა რაოდენობის სისწორეში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ, სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სალაროში არსებულ ფულადი სახსრებზე 2018 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშეგება არის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“).

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ

კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ, მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

15 სექტემბერი 2019

ეი სი ელ ჯგუფი

მმართველი პარტნიორი

ნოდარი კვანტალიანი

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

15 სექტემბერი 2019

შპს ,,აუდიტორული კომპანია ეი სი ელ ჯგუფი"

მმართველი პარტნიორი

ნოდარი ბენტალოსანი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	4	9,856,426	10,424,000
გაწეული მომსახურების/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(8,159,013)	(8,927,171)
საერთო მოგება	**4**	**1,697,413**	**1,496,829**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	5	(494,087)	(423,939)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**1,203,326**	**1,072,890**
საპროცენტო შემოსავალი			
ფინანსური ხარჯები		(180,092)	(122,987)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი		(541)	1,159
სხვა ხარჯები		(737)	(1,721)
მოგება დაბეგვრამდე		**1,021,956**	**949,341**
მოგების გადასახადის ხარჯი	6	-	-
წლის მოგება/(ზარალი)		**1,021,956**	**949,341**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**1,021,956**	**949,341**

დირექტორი	გიორგი ქართლელიშვილი	_____
მთავარი ბუღალტერი	კახაბერ ხუცურაული	_____

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	4	9,856,426	10,424,000
გაწეული მომსახურების/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(8,159,013)	(8,927,171)
საერთო მოგება	**4**	**1,697,413**	**1,496,829**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	5	(494,087)	(423,939)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**1,203,326**	**1,072,890**
საპროცენტო შემოსავალი			
ფინანსური ხარჯები		(180,092)	(122,987)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი		(541)	1,159
სხვა ხარჯები		(737)	(1,721)
მოგება დაბეგვრამდე		**1,021,956**	**949,341**
მოგების გადასახადის ხარჯი	6	-	-
წლის მოგება/(ზარალი)		**1,021,956**	**949,341**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**1,021,956**	**949,341**

დირექტორი	გიორგი ქართლელიშვილი	
მთავარი ბუღალტერი	კახაბერ ხუცურაული	

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		23,498,857	11,653,543
ბიოლოგიური აქტივები		6,434	3,229
არამატერიალური აქტივები		7,155	7,155
სულ გრძელვადიანი აქტივები		**23,512,446**	**11,663,927**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები		493,487	465,480
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		888,218	149,005
გაცემული სესხები		-	-
მარაგები		108,665	70,182
სულ მოკლევადიანი აქტივები		**1,490,370**	**684,667**
სულ აქტივები		**25,002,816**	**12,348,594**
კაპიტალი			
გადაფასების რეზერვი		(8,730,444)	-
დაგროვილი მოგება		(10,857,285)	(9,835,330)
სულ კაპიტალი		**(19,587,729)**	**(9,835,330)**
სულ გრძელვადნიანი ვალდებულებები		**-**	**(1,226,574)**
გრძელვადიანი სესხები		-	(1,226,574)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(152,549)	(274,141)
მოკლევადიანი სესხები		(5,262,538)	(1,012,549)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**(5,415,087)**	**(1,286,690)**
სულ ვალდებულებები		**(5,415,087)**	**(2,513,264)**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**(25,002,816)**	**(12,348,594)**

დირექტორი	გიორგი ქართლელიშვილი	_____
მთავარი ბუღალტერი	კახაბერ ხუცურაული	_____

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		23,498,857	11,653,543
ბიოლოგიური აქტივები		6,434	3,229
არამატერიალური აქტივები		7,155	7,155
სულ გრძელვადიანი აქტივები		**23,512,446**	**11,663,927**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები		493,487	465,480
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		888,218	149,005
გაცემული სესხები		-	-
მარაგები		108,665	70,182
სულ მოკლევადიანი აქტივები		**1,490,370**	**684,667**
სულ აქტივები		**25,002,816**	**12,348,594**
კაპიტალი			
გადაფასების რეზერვი		(8,730,444)	-
დაგროვილი მოგება		(10,857,285)	(9,835,330)
სულ კაპიტალი		**(19,587,729)**	**(9,835,330)**
სულ გრძელვადნიანი ვალდებულებები		**-**	**(1,226,574)**
გრძელვადიანი სესხები		-	(1,226,574)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(152,549)	(274,141)
მოკლევადიანი სესხები		(5,262,538)	(1,012,549)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**(5,415,087)**	**(1,286,690)**
სულ ვალდებულებები		**(5,415,087)**	**(2,513,264)**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**(25,002,816)**	**(12,348,594)**

დირექტორი — გიორგი ქართლელიშვილი

მთავარი ბუღალტერი — კახაბერ ხუცურაული

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის			**(8,885,987)**	**(8,885,987)**
კორექტირებები		-	-	-
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის			**(8,885,987)**	**(8,885,987)**
წლის მოგება		-	(949,341)	**(949,341)**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის			**(9,835,328)**	**(9,835,328)**
წლის მოგება		-	(1,021,957)	**(1,021,957)**
გადაფასების რეზერვი			(8,730,444)	**(8,730,444)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის			**(19,587,729)**	**(19,587,729)**

გენერალური დირექტორი	გიორგი ქართლელიშვილი	_____
მთავარი ბუღალტერი	კახაბერ ხუცურაული	_____

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის			**(8,885,987)**	**(8,885,987)**
კორექტირებები		-	-	-
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის			**(8,885,987)**	**(8,885,987)**
წლის მოგება		-	(949,341)	**(949,341)**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის			**(9,835,328)**	**(9,835,328)**
წლის მოგება		-	(1,021,957)	**(1,021,957)**
გადაფასების რეზერვი			(8,730,444)	**(8,730,444)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის			**(19,587,729)**	**(19,587,729)**

გენერალური დირექტორი	გიორგი ქართლელიშვილი	
მთავარი ბუღალტერი	კახაბერ ხუცურაული	

შპს „ბუნებრივი აირი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018	**2017**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	1,021,956	949,341
კორექტირებები:		
ცვეთის დანახარჯები	226,510	559,575
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-
საპროცენტო ხარჯი	180,092	122,987
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	**1,428,558**	**1,631,903**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(739,213)	(57,993)
მარაგები	(38,483)	(12,283)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება):		
სავაჭრო ვალდებულებები	(121,592)	(517,675)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადები	**529,270**	**1,043,952**
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(180,092)	(122,987)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**349,178**	**920,965**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,341,379)	(1,210,171)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	9,953
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	(3,207)	(2,045)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(3,344,586)**	**(1,202,263)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
აღებული სესხები	3,023,415	741,760
გადახდილი დივიდენდები	-	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**3,023,415**	**741,760**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	**28,007**	**(460,465)**
ნაშთი წლის დასაწყისში	**465,480**	**5,015**
ნაშთი წლის ბოლოს	**493,487**	**465,480**

გენერალური დირექტორი	გიორგი ქართლელიშვილი	_____
მთავარი ბუღალტერი	კახაბერ ხუცურაული	_____

შპს „ბუნებრივი აირი“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	1,021,956	949,341
კორექტირებები:		
ცვეთის დანახარჯები	226,510	559,575
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-
საპროცენტო ხარჯი	180,092	122,987
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	**1,428,558**	**1,631,903**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(739,213)	(57,993)
მარაგები	(38,483)	(12,283)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება):		
სავაჭრო ვალდებულებები	(121,592)	(517,675)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადები	**529,270**	**1,043,952**
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(180,092)	(122,987)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**349,178**	**920,965**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,341,379)	(1,210,171)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	9,953
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	(3,207)	(2,045)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(3,344,586)**	**(1,202,263)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
აღებული სესხები	3,023,415	741,760
გადახდილი დივიდენდები	-	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**3,023,415**	**741,760**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	**28,007**	**(460,465)**
ნაშთი წლის დასაწყისში	**465,480**	**5,015**
ნაშთი წლის ბოლოს	**493,487**	**465,480**

გენერალური დირექტორი	გიორგი ქართლელიშვილი	
მთავარი ბუღალტერი	კახაბერ ხუცურაული	

განმარტებითი შენიშვნები

1 შესავალი

მშობელი კომპანია:

შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია შპს ,,ბუნებრივი აირი'' დაფუძნდა 2003 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ბუნებრივი აირის რეალიზაციას ქვეყნის ფარგლებს შიგნით. კომპანია საქმიანობას აწარმოებს აღმოსავლეთ საქართველოს კერძოდ კი კახეთის რეგიონში. იურიდიული მისამართია ქ.თელავი, თბილისი გზატკეცილი, საქართველო. კომპანიის 66,67%-იანი წილის მფლობელია შოთა დემინაშვილი და 33.33% ის მფლობელია დავით დემინაშვილი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის თანამშრომლების რიცხვი შეადგენდა 213 ადამიანს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 217 თანამშრომელს.

შვილობილი საწარმო

შპს „ვილა ზუზუმბო" (შემდგომში „შვილობილი") საიდენტიფიკაციო ნომრით 431436136, დარეგისტრირდა 2018 წლის 26 მარტს საქართველოში. შვილობილის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თელავი, ქ.წამებული ქუჩა, N 1 . შვილობილის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა. შპს „ბუნებრივი აირი" ფლობს შვილობილის 100%-ს

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ქ.თელავი, თბილისის გზატკეცილი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში (,,ლარი'').

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი მონეტარული აქტივებისთვის გამოიყენებოდა შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი- 2.5922ლარი (2017: 1 აშშ დოლარი - 2.6468 ლარი; 2015: 1 აშშ დოლარი - 2.3949 ლარი). 1 ევრო - 3.1044 ლარი (2017: 1 ევრო - 2.7940ლარი; 2015: 1 ევრო - 2.6169 ლარი).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგრიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების

გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ორგანიზაცია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი საფუძვლები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვევით.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების

საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივისა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება საიმედოდ რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება როგორც პროდუქტი კვოტირებული ფასით ინდივიდუალური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის, რომელიც არის ორგანიზაციის მფლობელობაში. ასეა მაშინაც კი თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისად საიმედოდ, რომ აითვისოს მფლობელობაში არსებული რაოდენობა და ერთი ოპერაციით პოზიციის გაყიდვისთვის დაკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კვოტირებულ ფასზე. იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე

საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მიხედვით შექმნილი მოდელები ან იმ საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა, რომელშიც განხორციელდა ინვესტიცია.

შეფასების მეთოდების გამოყენებას შეიძლება დასჭირდეს დაშვებები, რომელიც არ ეფუძნება ბაზრის მონაცემებს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია განმარტებითი შენიშვნები, თუ რომელიმე დაშვების ცვლილება გამოიწვევს მოგების, შემოსავლის, აქტივების და ვალდებულებების ჯამის არსებით შეცვლას. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში(დონეები) არსებული შემდეგი დონეების მიხედვით: (i)

პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (ისეთი, როგორიცაა საჯარო გაყიდვაში არსებული წარმოებული ინსტრუმენტები, სავაჭრო და გაყიდვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები) დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაზრის კვოტირებულ ფასებზე. (ii) მეორე დონეზე წარმოდგენილია იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის მიმოქცევაში აქტიურ ბაზარზე (მაგალითად: არასაბირჟო წარმოებული ინსტრუმენტები) დგინდება იმ შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს და რაც შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა კომპანიის სპეციფიკის შეფასებას. თუ არსებობს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 2-ს. და (iii) იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი მონაცემი არ წარმოადგენს დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებელს, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 3-ს. ეს ეხება ბირჟაზე არაკვოტირებულ ფასიან ქაღალდებს.

ისტორიული ღირებულება არის გადახდილი ფულის ან ფულადი ექვივალენტების თანხა ან შეძენის დროს აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციის ხარჯებს. თვითღირებულებით გაანგარიშება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ

ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციების მიმართ, რომელთაც არ აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაანგარიშება შეუძლებელია.

ტრანზაქციის ღირებულება არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო და მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და

საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის

მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია (იხ. შემოსავლების და ხარჯების აღიარების პოლიტიკა).

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს. ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში

("რეგულარული" ყიდვა-გაყიდვის გარიგებები), აღირიცხება გარიგების დღეს, რომელიც ის დღეა, რომელზეც კომპანია კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა კომპანია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები: სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერილაური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება Weighted Average მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას

არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანაკარჯები.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

გაცემული სესხები და მოთხოვნები. კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც კომპანია გასცემს თანხას კლიენტზე არაკვოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან

განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის

თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;

- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;

- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;

- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხელმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდებზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების

ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახვას ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ორგანიზაცია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად

ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) მ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i)

განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით, როდესაც ეს არის საჭირო.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ანაზღაურების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის სამართლიანი ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების

გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემთხვევაში, მათი ღირებულება ჩამოიწერება იმ ღირებულებებს შორის უმსხვილეს მნიშვნელობაზე, რომელიც მიიღება გამოყენების შედეგად ან სამართლიანი ღირებულებით გაყიდვის ხარჯის გათვალისწინებით.

საბალანსო ღირებულების კლება, რომელიც გამოწვეულია ასეთი ძირითადი საშუალებების გადაფასებით მიიჩნევა ხარჯად იმ ხარისხით, რა ხარისხითაც აღემატება გადაფასებულ ღირებულებას, რომელიც წარმოიქმნება მოცემული აქტივის გადაფასებით.

წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გადაფასება

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, უნდა აისახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება რეგულარულად უნდა ტარდებოდეს იმისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ერთი და იმავე ჯგუფის აქტივების გადაფასება ერთდროულად უნდა მოხდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული აქტივების შერჩევითი გადაფასება და საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში განსხვავებული თარიღებისათვის შეფასებული დანახარჯებისა და ღირებულებების ერთმანეთში არევა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დაშვებულია ზოგიერთი აქტივის წინმსწრები გადაფასება, თუ გადაფასება ხდება მოკლე პერიოდის განმავლობაში და მუდმივად განახლებადია.

როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში და დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში `გადაფასების ნამეტის~ სახელწოდებით. ამასთან, გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

თუ აქტივის გადაფასების შედეგად მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს. ამასთან, შემცირების თანხა უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ”გადაფასების ნამეტის” სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

ცვეთა. ძირითად საშუალებებზე ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით შენობა-ნაგებობები და ტექინიკა-5% ხოლო აღჭურვილობა -20%.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც ორგანიზაცია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება უდრის ნულს იმ შემთხვევაში, თუ აპირებს ობიექტის გამოყენებას მისი გამოყენების ფიზიკური ვადის დასრულებამდე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური იჯარები. როდესაც კომპანია არის მოიჯარე საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც ითვალისწინებს საკუთრებასთან დაკავშირებულ აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებელის კომპანიისთვის გადაცემას, აქტივი კაპიტალიზირდება როგორც საკუთრება ძირითადი საშუალების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადახდებს შორის უმცირესით. თითოეული საიჯარო გადასახადი განაწილებულია ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯს შორის იმგვარად, რომ შენარჩუნებულ იქნას მუდმივი ფინანსური ბალანსის მაჩვენებელი. შესაბამისად სამომავლო გადასახადები აღიარებულია როგორც სესხი. საპროცენტო ხარჯი აღრიცხულია მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით სალიზინგო პერიოდის შესაბამისად. ფინანსური იჯარის შედეგად მიღებული აქტივი გაიცვითება საიჯარო ხელშეკრულებასა და საოპერაციო გამოყენების ვადას შორის უმცირესით თუ კომპანიას არ გააჩნია გონივრული საფუძველი რომ სალიზინგო პერიოდის გასვლის შემდეგ გადაეცემა აქტივზე საკუთრების უფლება.

მიღებული სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.
მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის დასაბეგრ მოგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.
გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ

საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში

(რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

დივიდენდები. დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება. ყველა სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ეს მეთოდი საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილის სახით გადაავადებს კონტრაქტის მხარეებს შორის მიღებულ ან გადახდილ ყველა მოსაკრებელს, რომლებიც არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯის და ყველა სხვა პრემიის ან ფასდაკლების განუყოფელი ნაწილი.

თუ საეჭვო გახდება სესხების და სხვა სავალო ინსტრუმენტების ამოღება, ისინი ჩამოიწერება მოსალოდნელი მისაღები ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებამდე და ამის შემდეგ საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკაუნტის აქტივების იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განხორციელებისთვის, რომელიც გამოყენებული იყო გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

უცხოური ვალუტაში გადაანგარიშება. ორგანიზაციის საოპერაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები სუბიექტის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიში პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. მონეტარული აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება-ზარალი (ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით) აღიარებულია მოგება-ზარალში. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება არაფულად პუნქტებთან დაკავშირებით. გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად მიღებული ცვლილებები სამართლიანი ღირებულებით წარდგენილ წილობრივ ინსტრუმენტებში აღირიცხება როგორც სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვის ნაწილი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების გადაყვანისთვის იყო: 1 აშშ დოლარი =2.5922ლარი (2017: 2.6468 ლარი; 2015: 2.3949ლარი) 1 ევრო = 3.1044 ლარი (2017: 2.7940 ლარი; 2015: 2.6169 ლარი).

ურთიერთდაფარვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვაზე, და

გამიზნულია დარეგულირდეს ნეტო საფუძველზე ან ერთრდოულად მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

3 ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

• ცვლილება ბასს 1-ში სახელწოდებით Disclosure Initiative (გამოიცა 2014 წლის დეკემბერში) - ცვლილებები ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მის შემდგომ პერიოდებზე, განმარტავს მატერიალობას და აგრეგაციას, ქვეჯამების პრეზენტაციას, ფიანანსური ანგარიშგების სტრუქტურასა და სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებებს. აღნიშნული ცვლილებები არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილება ბასს 16 და ბასს 38-ში „ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ცვლილებები დამატებით გვაწვდიან ინსტრუქციას და განმარტავენ, რომ (ა) აქტივის ცვეთის გამოსათვლელად შემოსავლების მეთოდების გამოყენება არ არის სათანადო რადგანაც, ისეთი საქმიანობით გენერირებული შემოსავალი, რომელიც გულისხმობს აქტივის გამოყენებას, ზოგადად ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, გარდა აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენებისა, და (ბ) შემოსავალი ზოგადად მიჩნეულია, როგორც შეუფერებელი ბაზა, არამატერიალურ აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენების შესაფასებლად; თუმცა, გარკვეულ შეზღუდულ გარემოებებში შესაძლებელია ამ პრეზუმფციის უარყოფა. აღნიშნული ცვლილებები პროსპექტულად მოქმედებს 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული და მომდევნო წლებისთვის. დირექტორების მოლოდინით, აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ექნება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილებები ბასს 16 და ბასს 41-ში „სოფლის მეურნეობა: მსხმოიარე მცენარეები“ (გამოიცა 2014 წლის ივნისში) - ცვლილებები მოქმედებს 2017 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო პერიოდებზე და განმარტავენ მსხმოიარე მცენარეებს - ანუ ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ პროდუქციის შესაქმნელად რამდენიმე პერიოდის განმავლობაში და ნაყოფიერების ვადის ამოწურვის

შემდეგ ჩვეულებრივ ნადგურდება (მაგ: ვაზი, კაუჩუკის ხე, ზეთის პალმა) - და განიხილავენ მათ ბასს 16-ის ფარგლებში, ხოლო მსხმოიარე მცენარეებიდან მიღებულ პროდუქციას ბასს 41-ის ფარგლებში.

ვინაიდან არ არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, ხელმძღვანელობის მოლოდინით, აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ექნება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილება ბასს 19-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო პერიოდებზე, განმარტავს, რომ მაღალი კლასის კორპორატიული ობლიგაციები შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებლისთვის დისკონტირების განაკვეთის გამოთვლისას დენომინირებული უნდა იყოს

იმავე ვალუტაში, რაშიც განხორციელდება სარგებლის გადახდა. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილება ფასს 5-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც პროსპექტულად მოქმედებს 2017 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე, დამატებით ინსტრუქციებს აწვდის სუბიექტს, რომელიც ახდენს გასაყიდად გამიზნული აქტივის (ან აქტივთა ჯგუფის) რეკლასიფიცირებას მესაკუთრეთათვის გადასაცემად გამიზნულ აქტივად, ან პირიქით, და იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აღრიცხვის შეწყვეტა. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილება ფასს 7-ში (წლიური გაუმჯობესებები ფასს 2012-2014 ციკლში, გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილება, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვარს დაწყებულ და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებზე, დამატებით ინსტრუქციებს გვაწვდის, რათა დაკონკრეტდეს გადაცემულ აქტივზე გულისხმობს თუ არა მომსახურების ხელშეკრულება განგრძობად მომსახურებას. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა ს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ორგანიზაციას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის:

• ცვლილებები ბასს-7- ში სახელწოდებით Disclosure Initiative (გამოშვებული 2017 წლის იანვარში). ცვლილებები სტანდარტში, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მომდევნო პერიოდებს, რომელიც მოითხოვს კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა კომპანიაში ფინანსური აქტივობებიდან. ზემოთაღნიშნულს არ ექნება მატერიალური გავლენა ს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილებები ბასს - 12 გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი არარეალიზებული ზარალისთვის (გამოშვებული 2017 წლის იანვარში). ცვლილებები ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი - დაკავშირებული სავალო ვალდებულებით გამოწვეულ არარეალიზებული ზარალთან უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, პრაქტიკაში განსხვავების დასაფიქსირებლად. სავარაუდოა, რომ ზემოთაღნიშნულს არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოცეშვებული 2017 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდ ფულზე

დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ ზემოთაღნიშნულს მატერიალური ეფექტი ექნება ანგარიშგებაზე.

• ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოშვებული 2017 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლებათ არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" (გამოიცა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

○ ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავლში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

○ ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას

აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

○ ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

○ ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

○ აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე.

თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

• ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს. იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). დირექტორების მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

• ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2017 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო, თუმცა, არ

არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

5 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასის ხარჯი	403,415	314,813
საკონსულტაციო ხარჯები	30,000	32,754
სარეკლამო ხარჯები	9,369	21,762
ცვეთა და ამორტიზაცია	8,068	18,249
კომუნალური ხარჯი	10,058	9,568
საწვავის ხარჯი	1,771	1,288
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	31,406	25,506
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**494,087**	**423,939**

6 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის განაკვეთი გამოითვლება დასაბეგრი მოგების 15%-ზე გამრავლებით. 2017 წელი არის ბოლო საანგარიშგებო პერიოდი რომლის დროსაც მოხდება მოგების გადასახადის 15% იანი განაკვეთის გამოყენება.

2017 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გამომდინარე იქედან, რომ კომპანია არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშო რისო სტანდარტების პირველადი გამომყენებელი მენეჯმენტის გადაწყვეტილებით მოხდა ფასს 1-ის *,, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენება''* თანახმად გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენება, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს ფასს - ების პირველადი გამოქვეყნების თარიღისთვის გამოყენებული სააღიცხვო პოლიტიკა გადავადებულ გადასახადთან დაკავშირებით გამოიყენოს რეტროსპექტულად საწყის ნაშთებზეც. იმის გამო, რომ ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით მომზადდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კოპანია იყენებს ზემოთ აღნიშნული ფასს 1-ის მიერ განსაზღვრულ მიდგომას და არ აღიარებს გადავადებულ გადასახადს საწყის ნაშთებზეც.

7 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი წარმოება	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2017 წლის 1 იანვარი	**2,530,665**	**1,736,518**	**7,584,600**	**704,216**	**652,649**	**188,149**	**13,396,797**
შეძენა	10,796	-	-	52,567	46,722		**525,384**
ტრანსფერი		1,014,131					
გასვლა/გაყიდვა				(8,424)	(1,529)		**(9,953)**
2017 წლის 31 დეკემბერი	**2,541,661**	**2,750,649**	**7,584,600**	**748,359**	**697,842**	**274,105**	**14,597,016**
შეძენა		1,188,620			27,673		
ტრანსფერი/გადაფასება	1,648,474	(2,552,315)	2,696,245	6,289,461	(517,052)	347,245	**7,912,058**
გასვლა/გაყიდვა							
2018 წლის 31 დეკემბერი	**4,189,935**	**1,386,954**	**10,280,845**	**7,037,820**	**208,463**	**621,350**	**23,725,367**

დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის 1 იანვარი	**-**	**-**	**1,769,341**	**104,447**	**481,685**	**28,424**	**2,383,897**
ცვეთა			376,292	37,133	135,119	11,442	**559,986**
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა				(411)			**(411)**
2017 წლის 31 დეკემბერი			**2,145,633**	**141,168**	**616,804**	**39,867**	**2,943,472**
ცვეთა			128,511	87,973	2,260	7,767	**226,510**
გადაფასებული ძირითადი საშუალებების ცვეთის ანულირება			(2,145,633)	(141,168)	(616,804)	(39,867)	**(2,943,472)**
2018 წლის 31 დეკემბერი			**128,511**	**87,973**	**2,260**	**7,767**	**226,510**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 1 იანვარი	**2,530,665**	**1,736,518**	**5,815,259**	**599,769**	**170,964**	**159,725**	**11,012,900**
2017 წლის 31 დეკემბერი	**2,541,461**	**2,750,649**	**5,438,967**	**607,191**	**81,038**	**234,238**	**11,653,543**
2018 წლის 31 დეკემბერი	**4,189,935**	**1,386,954**	**10,152,334**	**6,949,847**	**208,463**	**613,583**	**23,501,116**

ძირითადი საშუალებების ნაწილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის დაგირავებული მიღებული სესხების (იხილეთ შენიშნა 10) უზრუნველყოფის მიზნით.

ცვეთის ხარჯების დიდი ნაწილი 2018 და 2017 წლებში სრულად გადანაწილდა თვითღირებულებაზე.

8 ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული სალაროში	397,819	457,135
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	95,668	8,345
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**493,487**	**465,480**

2018 და 2017 წლის ბოლოს არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის.

9 მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბუნებრივი აირი	108,665	70,182
სათადარიგო ნაწილები	-	-
სულ მარაგები	**108,665**	**70,182**

ბუნებრივი აირი მოიცავს გაზგასამართ სადგურებზე დარჩენილ აირის რაოდენობას,ხოლო

სათადარიგო ნაწილები მოიცავს ძირითადი საშუალებების ასაშენებლად გამოსაყენებელ მარაგებს.

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დაგირავებული მიღებული სესხების (იხილეთ შენიშნა 10) უზრუნველყოფის მიზნით.

10 სესხები

მოკლევადიანი სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საწყისი თარიღი	ხანგრძლივობა	პროცენტი	ვალუტა	ექვივალენტი ლარში
სესხი ხელშ #1689992-8706076	27.12.2016	21.12.2018	12%	ლარი	939,123
ხელშეკრ. # 1689992-9084355	27.07.2018	27.07.2027	11.5%	ლარი	73,426
სულ მოკლევადიანი სესხები					**1,012,549**
ძირი თანხა					**1,012,549**
სულ მოკლევადიანი სესხები					**1,012,549**

გრძელვადიანი სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საწყისი თარიღი	ხანგრძლივობა	პროცენტი	ვალუტა	ექვივალენტი ლარში
ხელშეკრ. # 1689992-9084355	27.07.2018	27.07.2027	11.5%	ლარი	1,226,574
სულ გრძელვადიანი სესხები					**1,226,574**
ძირი თანხა					**1,226,574**
სულ გრძელვადიანი სესხები					**1,226,574**

მოკლევადიანი სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საწყისი თარიღი	ხანგრძლივობა	პროცენტი	ვალუტა	ექვივალენტი ლარში
სესხი ხელშ #1689992-8706076	27.12.2017	21.12.2018	12%	ლარი	939,123
ხელშეკ. # 1689992-9887888	24.08.2018	31.05.2019		ლარი	961,400
სესხი ხელშეკრ.10283271	21.12.2018	31.05.2019	11.5%	ლარი	1,000,000
თიბისი ბანკი ხელშეკრულება 6383198-10000679					(1,400,000
სულ მოკლევადიანი სესხები					**5,262,538**
ძირი თანხა					**5,262,538**
სულ მოკლევადიანი სესხები					**5,262,538**

მიღებული სესხები არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებებით რომელთა საბალანსო ღირებულება არის 678,994. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის არსებითი სხვაობა მიღებული სესხების ნომინალურ საპროცენტო განაკვეთსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის. საპროცენტო ხარჯმა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეადგინა 122,987 ლარი (2017: 200,726 ლარი).

2018 და 2017 წლის ბოლოს არ არის არსებითი განსხვავება მიღებული სესხების საბალანსო და სამართლიან ღირებულებას შორის. მიღებულ სესხებზე გადახდის გრაფიკი განსაზღვრულია ყოველთვიური ძირი და პროცენტის გადახდის პირობით.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	**31 დეკემბერი 2017**
სავაჭრო ვალდებულებები	150,549	171,426
საგადასახადო ვალდებულება	-	-
გადასახდელი ხელფასები	2,000	102,715
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**152,549**	**274,141**

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა ხარჯის გაწევის შედეგად, რომლის გადახდა არ მომხდარა პერიოდის განმავლობაში.

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

გადასახდელი ხელფასების ვალდებულებები კომპანიამ სრულად გაისტუმრა მომდევნო წლის იანვრის თვეში.

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	88,473	87,233
საგადასახადო აქტივი	180,015	
გადახდილი ავანსები	594,619	57,908
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**663,107**	**145,141**

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

13 ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური აქტივობების აღსრულებისას კომპანია შემდეგ შესაძლო რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა იმისა, რომ დებეტორმა დროულად, სრულად ან ნაწილობრივ არ დაფაროს მის მიერ აღებული სასესხო ვალდებულება და ,აქედან გამომდინარე, დააზარალოს კომპანია.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი იმისა, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს საჭირო ვადებში ფულადი რესურსების მოძიება და აქედან გამომდინარე ვერ შეძლოს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა.
- საბაზრო რისკი: არასტაბილური საბაზრო ფასებით გამოწვეული ფინანსური ინსტრუმენტების, კონკრეტულად, სამართლიანი ღირებულებისა და სამომავლო ფულადი ნაკადების, არამდგრადობის რისკი. ძირითადად კომპანია სამ საბაზრო რისკის წინაშე დგას:
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
  - გაცვლითი კურსის რისკი;
  - კაპიტალის ღირებულების რისკი.

რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

საბაზრო რისკი. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა)საპროცენტო რისკში, ვალუტაში, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. (ბ)აქტივები და ვალდებულებები რომლებსაც პროცენტი ერიცხებათ (გ) და კაპიტალის შემადგენელი მუხლები, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი. ორგანიზაციაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს სავალუტო რისკის დონეზე და მთლიანობაში ერთდღიან და რამდენიმედღიან პოზიციებზე, რომელთა მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ორგანიზაციის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებისა და საპროცენტო განაკვეთების დამთხვევა ან დარეგულირებული დაუმთხვევლობა არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია აწარმოებს კლიენტის და კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	427,348	-	-	427,348
სავაჭრო მოთხოვნები	76,468	-	-	76,468
სულ ფინანსური აქტივები	**503,816**	**-**	**-**	**503,816**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	152,549	-	-	152,549
მიღებული სესხები	3,862,538	-	-	3,862,538
სულ ფინანსური ვალდებულებები	**4,015,087**	**-**	**-**	**4,015,087**
ლიკვიდურობა	**(3,511,271)**	**-**	**-**	**(3,511,271)**

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,100,226	-	-	1,100,226
სავაჭრო მოთხოვნები	87,233	-	-	87,233
სულ ფინანსური აქტივები	**1,187,459**	**-**	**-**	**1,187,459**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	274,141	-	-	274,141
მიღებული სესხები	1,012,549	1,226,574	-	1,226,574
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,286,690**	**-**	**-**	**1,286,690**
ლიკვიდურობა	**(99,231)**	**(1,226,574)**	**-**	**(1,325,805)**

14 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება კომპანიის მიერ გამოითვლება საბაზრო ინფორმაციის, მისი არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასების მეთოდების საფუძველზე. თუმცა საბაზრო ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით აუცილებელია პროფესიული მსჯელობის გამოყენება. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლების გამოვლენას და ეკონომიკური პირობები ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კვოტირება შეიძლება იყოს მოძველებული და ასახავდეს გაყიდვის ტრანზაქციებს დაბალ ფასში და არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისას მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა სახის ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდების შემდეგ იერარქიულ სტრუქტურას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა და განსაზღვრისთვის:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (ისეთი, როგორიცაა საჯარო გაყიდვაში არსებული წარმოებული ინსტრუმენტები, სავაჭრო

და გაყიდვისთვის განკუთვნილი ფასინი ქაღალდები) დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაზრის კვოტირებულ ფასებზე. ამ ინსტრუმენტებს მოიცავს დონე 1.

დონე 2: იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის მიმოქცევაში აქტიურ ბაზარზე (მაგალითად: არასაბირჟო წარმოებული ინსტრუმენტები) დგინდება იმ შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს და რაც

შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა კომპანიის სპეციფიკის შეფასებას. თუ არსებობს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 2-ს.

დონე 3: იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი მონაცემი არ წარმოადგენს დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებელს, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 3-ს. ეს ეხება ბირჟაზე არაკვოტირებულ ფასიან ქაღალდებს.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვნებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი იერარქიის დონის მიხედვით:

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (3 თვეზე ნაკლები) უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი, გარდა კლიენტებზე გაცემული სესხებისა და

ფინანსური ვალდებულებებისა, არის ან ლიკვიდური ან აქვთ დაფარვის სამთვიანი ვადა საანგარიშო თარიღიდან.

გაცემული სესხების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით იმ მომენტისათვის როდესაც პირველად იქნა აღიარებული მიმდინარე საბაზრო განაკვეთით შემოთავაზებული ანალოგიური ფინანსური აქტივებისთვის.

15 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად განიხილებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორის კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. სავარაუდო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას:

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

	2018	**2017**
მოკლევადიანი ანაზღაურება – ხელფასები და ბონუსები	45,000	45,000
სულ	**45,000**	**45,000**

16 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიაში არ მომხდარა არანაირი ცვილებები,რაზეც აუდიტის შემდგომ ღირს ყურადღების გამახვილება.

შპს „ბუნებრივი აირის“

მმართველობითი აღრიცხვა

2018 წელი

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა 3
ინფორმაცია ,,ბუნებრივი აირის'' ფილიალების შესახებ 4
ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტული მდგომარეობა 5
კომპანიის შიდა სტრუქტურა და ის თუ როგორ ქმნის ბაზარზე ღირებულებას 6
კომპანიის განვითარების გეგმები 7
კომპანიის მიზნები 8
ინფორმაცია შვილობილი კომპანიის საქმიანობის შესახებ 8

საქმიანობის მიმოხილვა

2003 წლიდან დღემდე კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა აირისებრი საავტომობილო სათბობით კახეთის რეგიონში, კომპანია დაარსებიდან მალევე დაკომპლექტდა გამოცდილი კადრებით, რომლებსაც დიდი გამოცდილება ჰქონდათ სფეროში განხორციელებულ პროექტებზე, სწორედ ამან განაპირობა მოწინავე პოზიციის დაკავება, რეგიონში. დამკვეთების რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდებოდა თანამშრომლების და შეთავაზებული სერვისების ჩამონათვალი. კომპანია ეტაპობრივად, მზარდი ტემპებით ვითარდებოდა და განვითარების პარალელურად იხვეწებოდა შეთავაზებული მომსახურების ხარისხიც.

მთავარი რითიც გამოირჩევა „ბუნებრივი აირი“ ამ სფეროში წარმოდგენილი კომპანიებისგან ეს არის: შეთავაზებული საქონლის და მომსახურების მაღალი ხარისხი, პასუხისმგებლობა მომხმარებლების მიმართ, დამკვეთის დროული ინფორმირების კულტურა და კოორდინირებული მენეჯმენტის სისტემა და რაც მთავარია შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

ინფორმაცია ,,ბუნებრივი აირის'' ფილიალების შესახებ

შპს „ბუნებრივი აირი“-ს სათაო ოფისი მდებარეობს თელავში, კომპანიის დანარჩენი ფილიალები განთავსებულია კახეთის რეგიონში:

1) ქ.თელავი, თბილისის გზატკეცილი №13 (სათაო ოფისი)
2) ქ.თელავი, ალაზნის გამზირი (ბაზრის მიმდებარედ აგგს სადგური)
3) ქ.თელავი, სეხნიაშვილის ქუჩა (რეფერალურთან აგგს სადგური)
4) თელავის მუნიციპალიტეტის სოფ.ვარდისუბანი (აგგს სადგური)
5) ქ.ახმეტა, რუსთაველის ქუჩა (აგგს სადგური)
6) ქ.ახმეტა, აღმაშენებლის ქუჩა (აგგს სადგური)
7) ქ.ყვარელი, მეურნეობის დასახლება (აგგს სადგური)
8) ქ.გურჯაანი, თავისუფლების ქ.№47ა (აგგს სადგური)
9) გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ.ვაჩნაძიანი (აგგს სადგური)
10) თელავის მუნიციპალიტეტის სოფ.ვარდისუბანი (ჟანგბადის საამქრო)
11) ქ.თელავი, ჩოლოყაშვილის ქ.№1 (სასტუმრო „ძველი თელავი“ №1)
12) ქ.თელავი, ქ.წამებულის ქ.№1 (სასტუმრო „ძველი თელავი“ №2)
13) ქ.თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა (ზუზუმბოს მშენებარე სასტუმრო)

ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტული მდგომარეობა

„ბუნებრივი აირი“-ს დაფარვის არეალი კახეთის რეგიონია. ქვეყანაში ამ მიმართულებით კონკურენცია საკმაოდ მაღალია, თუმცა „ბუნებრივი აირმა“ დასაწყისშივე განსაზღვრა პრიორიტეტები და არსებობის მანძილზე მყარად მიყვება ამ პოლიტიკას: ეს არის ხარისხიანი პროდუქტზე ამბიცია, გამართული მენეჯმენტის სისტემა, რეგიონში ინოვაციური პროდუქტების დანერგვა, ტურიზმის სფეროს განვითარება და პერსონალის პროფესიული ზრდა. შეთავაზებული მომსახურებების ჩამონათვალზე გავლენა იქონია ქვეყანაში/რეგიონში მიმდინარე პროცესებმა, „ბუნებრივი აირის“ სასტუმროების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყანაში შემოსულმა ტურისტების ნაკადმა, ახალი შესაძლებლობების ათვისებისთვის აუცილებელი იყო სიახლეების დანერგვა კომპანიის შიგნით, რაც მუდმივი განვითარების გზაა. დღემდე კომპანია ცდილობს მისდიოს რეგიონში მიმდინარე ბიზნესს პროცესებს.

კომპანიის შიდა სტრუქტურა და ის თუ როგორ ქმნის ბაზარზე ღირებულებას

დამფუძნებლები

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ბუღალტრები

ადმინისტრაცია

სასტუმროს პერსონალი

ჩამსხმელ-ოპერატორები

ეს ჩამონათვალი წარმოადგენს ორგანიზაციის თანამშრომლებს. იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის კვალიფიკაცია, თითოეულ პოზიციაზე შექმნილია თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელიც ასევე მოიცავს აღნიშნული პოზიციისათვის აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კვალიფიკაცია მოიცავს განათლების, გამოცდილების, უნარების დამადასტურებელ დოკუმენტაციას/სერთიფიკატებს. შესაბამისი კვალიფიკაცია, ჩატარებულ ინსტრუქტაჟთან ერთად უზრუნველყოფს ყველა პოზიციის შესაბამის მოთხოვნებს.

თითოეული კადრის მიღებისას ხდება კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნა, მოთხოვნა შეიძლება წარმოიშვას ასევე კადრის პოზიციის ცვლილებისას ან პოზიციის მოთხოვნების ცვლილებისას. კადრებში ინახება პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ყველა თანამშრომელი გადის პირველად ინსტრუქტაჟს და კომპანიის მიზნების გაცნობითი სახის ტრენინგს.

„ბუნებრივი აირი“ მეტწილად დაკომპლექტებულია ძირითადად ახალგაზრდა კადრებით, თუმცა რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მმართველი მენეჯმენტამდე კარიერული წინსვლა გაიარეს რიგითმა თანამშრომლებმა, შესაბამისად პროცესებს მართავენ კადრები, რომლებიც კარგად არიან ჩახედულნი სფეროში, კომპანიის მოთხოვნებსა და ღირებულებებებში, და უღრმავდებიან პრობლემის წარმოქმნის მიზეზებს.

კარიერული ზრდის პერსპექტივები მნიშვნელოვანია რიგითი თანამშრომლის მოტივაციის გაზრდისთვის. „ბუნებრივი აირის “ მთავარი ღირებულება კვალიფიციური პერსონალია, რომელიც ძირითადი დასაყრდენია და რომლის მუდმივი განვითარება კომპანიის მთავარი პრიორიტეტია.

„ბუნებრივი აირის“ მმართველობითი ფორმა ვერტიკალურია, ყველა თანამშრომელს, მისი კომპეტეციის ფარგლებში, შესაძლებლობა აქვს მისი ხედვა გააცნოს მენეჯმენტს და შესთავაზოს საკითხის გადაჭრის მისეული გზა.

კომპანიის განვითარების გეგმები

2003 წლიდან დღემდე კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა აირისებრი საავტომობილო სათბობით კახეთის რეგიონში, კომპანიის ამჟამინდელი მიზანია სასტუმრო-რესტორნების განვითარება ასევე კახეთის რეგიონში, რისთვისაც მიმდინარეობს ახალი სასტუმრო კომპლექსი „ზუზუმბო“-ს მშენებლობა, რომელიც 2019 წელს დაიწყებს ფუნქციონირებას, სადაც განთავსებული იქნება 42 ნომერი რესტორნით და კაფე-ვერანდით, ასევე 9 კოტეჯი 22 ნომრით.

კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს ლიდერის პოზიცია კახეთის რეგიონში ბუნებრივი აირის მიწოდებაში, აღნიშნული მიზნის მისაღწევად/შესანარჩუნებლად ყოველწლიურად ისახება გეგმები, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია: მომწოდებლების გაზრდასთან, ახალი ბაზრების ათვისებასთან და თანამშრომლების კვალიფიკაციის ზრდასთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ პროფესიული ტრენინგები, როგორც გარე ასევე შიდა, ეწყობა „ვისწავლოთ შეცდომებზე“ შეხვედრები, სადაც განიხილება პროფესიული შეცდომები და იგეგმებე მათი პრევენციის გზები, კომპანია ცდილობს გამორიცხოს შეცდომების განმეორების ალბათობა.

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა ყოველწლიურად აანალიზებს შესრულებულ სამუშაოს და შედეგების გასაცნობად მართავს წლის შემაჯამებელ თათბირს. თათბირზე აფასებს წლის განმავლობაში მენეჯმენტის სისტემის მუშაობის ეფექტურობას, განსაზღვრავს ცვლილების საჭიროებასა და შესაძლებლობებს.

„ბუნებრივი აირის“ მომსახურების ხარისხს განიხილავს როგორც მომხმარებლის კმაყოფილების მსაზღვრელს. ამ მიზნით კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს მომხმარებლებთან. რაც შესაძლებლობას იძლევა არა მარტო განისაზღვროს მომხმარებლების არსებული მოთხოვნები, არამედ წარმოდგენა შეიქმნას მოსალოდნელ/შესაძლო მოთხოვნებზეც.

კომპანიის განვითარების გეგმებში შედის ასევე სრულიად განსხვავებული მიმართულება სასტუმროების კომპლექსების მშენებლობა და მათი განვითარება ტურიზმის განვითარების ფონზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანი სიახლეები განახორციელა ,,ბუნებრივმა აირმა“ მიმდინარე წლებში. ამ ეტაპზე კომპანიის ბალანსზე ირიცხება 2 მოქმედი სასტუმრო, რესტორნებით და კაფე-ვერანდებით და მიმდინარე მშენებლობა სატუმრო კომპლექს ,,ზუზუმბოსი“. სასტუმროების განვითარებით „ბუნებრივმა აირმა“ ხელი შეუწყო კახეთის რეგიონში ტურისტების ნაკადის გაზრდა და მთლიანად კახეთის რეგიონის პოპულარიზაციას.

კომპანიის მიზნები

კომპანიის მიზანს, მისი დაარსებიდან დღემდე, წარმოადგენს რა თქმა უნდა კმაყოფილი და ლოიალური კლიენტების ხარჯზე მიღებული მოგება, რომელიც საკუთარი ძალებით შესრულებული მომსახურების საფუძველზე გაცილებით მარტივად მიიღწევა. სწორედ ამიტომ, ჩვენი მენეჯმენტის ჯგუფი ყოველთვის ცდილობს, მომხმარებელს შესთავაზოს ხარისხიანი პროდუქტი და მომსახურებები. მოგების მიღებასთან ერთად ჩვენი დიდი მიზანი და სურვილია რეგიონში უმუშევრობის დონის შემცირება და კახეთის განვითარება. ,,ბუნებრივ აირს“ ღრმად აქვს გააზრებული სოციალური პასუხისმგებლობები დაინტერესებული მხარეების მიმართ და ყოველთვის მზადყოფნაშია მუდმივი ზრდისთვის.

ინფორმაცია შვილობილი კომპანიის საქმიანობის შესახებ

შპს „ბუნებრივ აირს“ ერთი შვილობილი კომპანია ჰყავს. შპს „ვილა ზუზუმბო“ გახლავთ ჩვენი შვილობილი, რომელიც დაარსდა 2018 წლის 26 მარტს. მისი საქმიანობის სფერო გახლავთ სასტუმროების და რესტორნების მუშაობა. მენეჯმენტის აზრით აღნიშნული საქმიანობა პირდაპირ კავშირში არ არის ჩვენს ძირითად საქმესთან, თუმცა პირდაპირ პასუხობს ჩვენს ერთ-ერთ ძირითად მიზანს - რეგიონის განვითარებას.

შპს ,,ბუნებრივი აირის" დამფუძნებლებს

გავეცანით შპს ,, ბუნებრივი აირის'' კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ დოკუმენტს - მმართველობით ანგარიშგებას და მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების დროს არ შეგვიმჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამობა,რაც მიგვანიშნებდა რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება არ არის მომზადებული საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" მიხედვით

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშგებაზე,აუდიტორის პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს,რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას,შევამოწმოთ ასახულია თუ არა მმართველობით ანგარიშგებაში კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია.ჩვენი ვალდებულებაა ასევე განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მისი არსი,

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" მოთხოვნების მიხედვით.

აღნიშნული წერილი წარმოადგენს 15.09.2019 გაცემული აუდიტორული დასკვნის დანართს.

გარიგების პარტნიორი

ნოდარი კვანტალიანი